ბრძანება №:47/02-01

29.03.2011

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის" 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლის, 61-ე მუხლის პირველი, მე-3 მე-6, მე-7 ნაწილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის №490 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 24-ე მუხლის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო საბჭოს რეგლამენტი (დანართი №1).
2. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ–გვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების ცენტრს.
3. დაევალოს კანცელარიას, ბრძანება განათავსოს ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე და გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.
4. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **დავით ჩომახიძე**

დანართი №1

,,დამტკიცებულია” სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2011 ,, 29. 03. “ წლის N# 47/02-01 ბრძანებით სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო საბჭოს რეგლამენტი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) საბიბლიოთეკო საბჭო (შემდგომში - ,,საბჭო“), არის სათათბირო ორგანო, რომელიც ხელს უწყობს უნივერსიტეტში არსებული ბიბლიოთეკებისა და სამკითხველო დარბაზების ეფექტურ მონაწილეობას უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში.

2. საბჭოს გადაწყვეტილებები სარეკომენდაციო ხასიათისაა.

3. საბჭო ფუნქციონირებს წინამდებარე რეგლამენტით.

4. საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე და მდივანი.

5. საბჭოს თავმჯდომარე არის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის დირექტორი.

6. საბჭოს წევრები შეიძლება იყვნენ, როგორც უნივერსიტეტის თანამშრომლები, ასევე საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტები სხვა დაწესებულებებიდან.

7. საბჭოს შემადგენლობას, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის წარდგინებით, ოთხი წლის ვადით, ამტკიცებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

8. საბჭო საჭიროების შემთხვევაში იწვევს ექსპერტს.

მუხლი 2. ძირითადი ფუნქციები და ამოცანები

1. საბჭო ხელს უწყობს და კოორდინაციას უწევს საუნივერსიტეტო სივრცეში არსებულ ბიბლიოთეკებში ინტეგრირებული საბიბლიოთეკო პროგრამისა და საინფორმაციო სისტემებით მომსახურების ხარისხის ამაღლებას.

2. შეიმუშავებს საბიბლიოთეკო ნორმატიული დოკუმენტების პროექტებს და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას.

3. განიხილავს უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდების დაკომპლექტების საკითხს.

4. საექსპერტო შეფასებას აძლევს შესასყიდ ადგილობრივ და უცხოურ გამოცემებს (ასევე ელექტრონულ ბაზებს) და რეკომენდაციას წარუდგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

5. განიხილავს წიგნადი ფონდის ცალკეული ერთეულის ფონდიდან ამოღების მიზანშეწონილობას და რეკომენდაციას წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

6. საექპერტო შეფასებას უწევს კერძო კოლექციებიდან გადმოცემულ ფონდებს.

7. იხილავს და წარუდგენს ადმინისტრაციის შესაბამის სამსახურს, უნივერსიტეტში საბიბლიოთეკო ფონდების შევსების ოპტიმიზაციის მიზნით უნივერსიტეტის ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულების მიერ შესაძენი წიგნებისა და პერიოდული გამოცემების ნუსხას.

8. განიხილავს შესაბამისი პროფილის ახალი სამეცნიერო, საგანმანათლებლო-პოპულარული ხასიათის გამოცემების მიზანშეწონილობის საკითხს და რეკომენდაციას უწევს უნივერსიტეტის გამომცემლობის წინაშე.

მუხლი 3. საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა

1. საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს საბჭოს მდივანი.

2. საბჭო თავისი წევრებიდან ირჩევს მდივანს.

3. საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს საბჭოს წევრთა დოკუმენტურ და საინფორმაციო მომსახურებას.

მუხლი 4. საბჭოს მუშაობის წესი

1. საბჭო იკრიბება საწავლო წლის განმავლობაში არანაკლებ 2-ჯერ.

2. საბჭოს შეკრების თარიღი, დღის წესრიგი, წევრებს ეცნობებათ სხდომის ჩატარებამდე ორი დღით ადრე.

3. საბჭოს წევრებს უფლება აქვთ დღის წესრიგში შეიტანონ დამატებითი საკითხი.

4. სხდომა უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის 2/3

5. სხდომის გადაწყვეტილება მიიღება საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

6. გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით.

7. საბჭოს თითოეულ სხდომაზე საბჭოს მდივნის მიერ იწერება სხდომის ოქმი.

8. ოქმს ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოს მდივანი.

9. საბჭოს შეკრებიდან არა უგვიანეს 5 დღისა საბჭოს მდივანი აფორმებს სხდომის ოქმს და უგზავნის საბჭოს ყველა წევრს.

ბრძანება №:08/02-01

24.01.2012

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2011 წლის 29 მარტის #47/02-01 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის #208/ნ ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის "კ" და "ნ" ქვეპუნქტების, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს შემდეგი ცვლილება და დამატება სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 29.03.2011 წლის 29 მარტის #47/02-01 ბრძანების #1 დანართში (სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო საბჭოს რეგლამენტი):

a) შევიდეს ცვლილება რეგლამენტის რეგლამენტის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტში და იგი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით -

"7. იხილავს და წარუდგენს ადმინისტრაციის შესაბამის სამსახურს, უნივერსიტეტში საბიბლიოთეკო ფონდების შევსების ოპტიმიზაციის მიზნით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულების მიერ შესაძენი წიგნებისა და პერიოდული გამოცემების ნუსხას მე-2 მუხლის 71 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად.”.

b) შევიდეს დამატება რეგლამენტში და მას მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინარსის 71 პუნქტი -

,,71. ლიტერატურის შესყიდვის საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების ხელმძღვანელები საბიბლიოთეკო საბჭოს წარუდგენენ შესაძენი ლიტერატურის ჩამონათვალს და არგუმენტირებულ დასკვნას ამ გამოცემების შეძენის საჭიროების თაობაზე. საბიბლიოთეკო საბჭოს თავმჯდომარეს უფლება აქვს, საბიბლიოთეკო საბჭოს განსახილველად წარუდგინოს ისეთი ლიტერატურა, რომელიც არ არის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების სილაბუსებით გათვალისწინებული, მაგრამ მათი შეძენა მიზანშეწონილია ამ ლიტერატურის მაღალი მხატვრულ-კულტურული და სამეცნიერო-ისტორიული ღირებულებიდან, აგრეთვე უნივერსიტეტის საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე.".

2. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ–გვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების ცენტრს.

3. დაევალოს კანცელარიას, ბრძანება განათავსოს ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე და გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

4. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დავით ჩომახიძე

ბრძანება №:87/02-01

21.05.2011

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის №490 ბრძანებით დამტკიცებული " საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" 24-ე მუხლის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო საბჭოს შემადგენლობა (დანართი №1).
2. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების ცენტრს.
3. დაევალოს კანცელარიას, ბრძანება განათავსოს ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას და გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.
4. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **დავით ჩომახიძე**

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის
2011 წლის ,, 20. 05 “
№ 87/02-01 ბრძანების
დანართი №1
საბიბლიოთეკო საბჭოს შემადგენლობა:

1. ზურაბ გაიპარაშვილი–უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმღვანელი
2. მარინე ლომოური _ რექტორის მრჩეველი
3. გიორგი ღვედაშვილი _ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი
4. თამარ ბაგრატიონი – ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი
5. ნინო ბეგიშვილი _ მედიცინის ფაკულტეტის რესურსების სამსახურის უფროსი
6. დავით ბუაჩიძე –უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი
7. თამარ გიორგაძე – უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე
8. ლია გოგიაშვილი _ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი
9. ირაკლი დვალიძე – იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი
10. ლევან თაქთაქიშვილი – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორი
11. მაია კვატაშიძე – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი.
12. ლელა კოპალეიშვილი – შესყიდვების განყოფილების მთავარი სპეციალისტი
13. ლია შავგულიძე – ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი